

ა. ბენაშვილი, გ. ბენაშვილი

ოპერაციული სისტემა
Windows 10

თბილისი
2018

ა. ბენაშვილი, გ. ბენაშვილი

ოპერაციული სისტემა Windows 10. სახელმძღვანელო. – თბილისი:
– 2018 წ. – 432 გვ.

სახელმძღვანელოში აღწერილია ოპერაციული სისტემა Windows 10. განხილულია საკითხები, რომელთა ცოდნაც სასურველია როგორც კომპიუტერის მომხმარებლებისთვის, ასევე ადმინისტრატორებისთვის.

სახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოს უნივერსიტეტის ინფორმატიკის, ინჟინერიის და მათემატიკის სკოლის სტუდენტებისთვის.

რეცენზენტი ტ.მ.დ., პროფესორი ს. ცირამუა

©საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა

ISBN: 978-99940-50-96-3

შინაარსი

	შესავალი	8
თავი 1	Windows 10 ოპერაციული სისტემის ინტერფეისი	21
1.1.	Windows 10 ოპერაციული სისტემის ინტერფეისის ელემენტები	21
1.2.	ამოცანათა პანელში არსებულ პროგრამულ ღილაკებთან მუშაობა	26
1.3.	მენიუ Start	29
1.4.	პიქტოგრამების და პროგრამული ფანჯრების ორგანიზაცია სამუშაო მაგიდაზე	30
1.5.	ამოცანათა პანელის შემადგენელი ელემენტები ..	33
1.6.	მუშაობის დასრულება	36
თავი 2	Start მენიუს და ამოცანათა პანელის მოწყობა	40
2.1	Start მენიუს პროგრამები	40
2.2.	ამოცანათა პანელის მოწყობა	43
2.3.	შეტყობინებების ველი	46
2.4.	შეტყობინებათა ველის ღილაკები	51
2.5.	ჩანართი Toolbars	55
2.6.	Start მენიუს მოწყობა	56
თავი 3	პროგრამებთან, იარაღებთან და საქალაქებთან მუშაობა	60
3.1.	Windows 10 ოპერაციული სისტემის იერარქიული სტრუქტურა	60
3.2.	პროგრამებთან მუშაობა	62
3.3.	Shortcut-ების (იარაღების) შექმნა და გამართვა .	70

3.4.	ოპერაციები ობიექტებზე	79
თავი 4	Recycle Bin	82
4.1.	ობიექტების აღდგენა და საბოლოო განადგურება	83
4.2.	რეჟიმების დაყენება Recycle Bin-ისთვის	84
თავი 5	სისტემა File Explorer	88
5.1.	საწყისი ცნებები - ფაილი, კატალოგი, დოკუმენტი. კატალოგების ორგანიზაცია	88
5.2.	სისტემა File Explorer-ის გამოძახება. ფანჯრის ძირითადი კომპონენტები	93
5.3.	File Explorer-ის ნავიგაციის პანელი	102
5.4.	ობიექტების დალაგება და წარმოდგენის ფორმები	108
5.5.	კატალოგების რეჟიმები	118
5.6.	კატალოგებთან და ფაილებთან მუშაობა File Explorer-ში	131
5.7.	ფაილების გადაწერა და გადაადგილება	147
თავი 6	ფაილის გახსნის რეჟიმების მართვა. დანიშნულ პროგრამებთან მუშაობა	160
6.1.	ფაილების გახსნის რეჟიმები	160
6.2.	დანიშნულ პროგრამებთან მუშაობა	162
თავი 7	კატალოგების და ფაილების თვისებები. ატრიბუტები. არქივაცია	173
7.1.	კატალოგების და ფაილების თვისებები	173
7.2.	კატალოგების და ფაილების ატრიბუტები	176
7.3.	ფაილების წინა ვერსიების გამოყენება	178
7.4.	კატალოგების და ფაილების შეკუმშვა	180
7.5.	არქივაციის პროგრამა WinRAR	184

თავი 8	ფაილებისა და კატალოგების მოძებნა	188
8.1.	Search სამსახური (დამხმარე მოძებნაში)	188
8.2.	ნიღბების გამოყენება მოძებნის დროს	190
8.3.	ძებნის სტრიქონის გამოყენება	192
8.4.	დამატებითი კრიტერიუმები ფაილების მოძებნისათვის	193
8.5.	ძებნის რეჟიმები	196
8.6.	ინდექსირების რეჟიმები	198
თავი 9	Control Panel	202
9.1.	Personalization	202
9.2.	Display	211
9.3.	Power Options	217
9.4.	Mouse	223
9.5.	Keyboard	229
9.6.	Date and time	230
9.7.	Fonts	234
9.8.	Devices and Printers	237
9.9.	Region	247
9.10.	Language	253
9.11.	Sound	259
9.12.	System	261
9.13.	Device Manager	264
9.14.	Programs and Features	270
თავი 10	Windows 10 ოპერაციული სისტემის დაინსტალირება	277
10.1.	Windows 10 ოპერაციული სისტემის მოთხოვნები	277
10.2.	ინსტალაციის დაგეგმვა	281

10.3.	დაინსტალირება დისტრიბუციული კომპაქტ- დისკიდან, ან ფლეშ-დამგროვებლიდან	289
10.4.	Windows 10 ოპერაციული სისტემის ინსტალაციის საერთო აღწერა	299
თავი 11	მუშაობა დისკებთან	307
11.1.	ინფორმაცია დისკის შესახებ	307
11.2.	გახსნის რეჟიმები მოხსნადი დამგროვებლ- ბისათვის	313
11.3.	CD/DVD-R და CD/DVD-RW დისკებთან მუშაობა	318
11.4.	Flash დამგროვებლის დაფორმატება	321
11.5	ვინჩესტერის დიაგნოსტიკა	323
11.6	დისკის დეფრაგმენტაცია	326
11.7	დისკების მართვა	331
11.8	ვირტუალურ დისკებთან (VHD) მუშაობა	340
თავი 12	გამოყენებითი პროგრამებისა და პროცესების მართვა	350
12.1.	ამოცანათა დისპეტჩერის მუშაობის რეჟიმები . . .	353
12.2.	„ჩამოკიდებული“ პროგრამების მუშაობის დასრულება	354
12.3.	ამოცანებს შორის გადართვა და მათი გამოძახება	356
12.4.	კომპიუტერის წარმადობის მონიტორინგი	358
თავი 13	სისტემის და მონაცემების აღდგენა	365
13.1.	სისტემის აღდგენის ფუნქციის პარამეტრების დაყენება	366
13.2.	სისტემის აღდგენის პუნქტის შექმნა	369
13.3.	სისტემის წინა მდგომარეობის აღდგენა	370
13.4.	მონაცემების არქივაცია და აღდგენა	374

13.5	ავტომატური არქივაციის რეჟიმები. არქივის შექმნა	375
13.6	არქივიდან ფაილების აღდგენა	382
თავი 14	სააღრიცხვო ჩანაწერებთან მუშაობა	385
14.1.	ადმინისტრატორები და შეზღუდული პრივილეგიების მქონე მომხმარებლები	387
14.2.	მომხმარებლის სააღრიცხვო ჩანაწერების კონტროლი (UAC)	390
14.3.	სააღრიცხვო ჩანაწერის შექმნა და დამუშავება . . .	395
14.4.	კატალოგი Users	408
14.5.	კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა	411
14.6.	ფაილების გადაწერა-გადაადგილება სააღრიცხვო ჩანაწერებს შორის	412
14.7.	სისტემაში შესვლა და სისტემიდან გამოსვლა. გადართვა მომხმარებლებს შორის	413
14.8.	სისტემაში ავარიული შესვლა	417
თავი 15	ფაილების, კატალოგების და დამგროვებლების დაშიფვრა	422
15.1.	ფაილების და კატალოგების დაშიფვრა	422
15.2.	დამგროვებლების დაშიფვრა. ტექნოლოგია BitLocker	425
	ლიტერატურა	432

შესავალი

ოპერაციული სისტემა (OS - Operating system) კომპიუტერული პროგრამების საბაზო კრებულს წარმოადგენს. იგი კომპიუტერის აპარატურული საშუალებების მართვას, ფაილებთან მუშაობას, მონაცემების შეტანა-გამოტანას, გამოყენებითი პროგრამების და უტილიტების შესრულებას უზრუნველყოფს.

ოპერაციული სისტემების ძირითადი ფუნქციებია:

1. გამოყენებითი პროგრამების ოპერატიულ მეხიერებაში ჩატვირთვის და მათი შესრულების უზრუნველყოფა;
2. პერიფერიული მოწყობილობებისადმი სტანდარტიზებული წვდომა;
3. ოპერატიული მეხიერების მართვა. მისი განაწილება სხვადასხვა პროცესებს შორის;
4. ვირტუალური მეხიერების მართვა;
5. ფაილური სისტემის საშუალებით დისკური და სხვა ტიპის დამგროვებლებისადმი წვდომის მართვა;
6. სამომხმარებლო ინტერფეისის უზრუნველყოფა;
7. ქსელური ოპერაციების, პროტოკოლების სტეკის მხარდაჭერა.

ოპერაციული სისტემების დამატებითი ფუნქციებია:

- ამოცანების პარალელური და ფსევდოპარალელური შესრულება (მრავალამოცანიანობა);
- პროცესებს შორის ურთიერთკავშირი: მონაცემთა გაც-ვლა, ურთიერთსინქრონიზაცია;

- თავად სისტემის და სამომხმარებლო ფაილების დაცვა პროგრამების და მომხმარებლების არასანქცირებული შეღწევისგან;
- ოპერაციულ სისტემასთან მრავალმომხმარებლიანი მუშაობის რეჟიმის ორგანიზაცია.

ოპერაციული სისტემა Windows 7

Windows 7 გამოშვებული იქნა Microsoft-ის არცთუ წარმატებული პროექტის - Windows Vista-ს შემდეგ და წარმატებით ჩაანაცვლა იგი.

ძირითადი გაუმჯობესებები შემდეგი მიმართულებით მოხდა:

- გაუმჯობესებულია აპარატურული და პროგრამული საშუალებების შეთავსებადობა;
- გააჩნია ახალი, უფრო მოსახერხებელი სამომხმარებლო ინტერფეისი;
- გაუმჯობესებულია მულტიმედია საშუალებების და ციფრული ფოტოგრაფიების მხარდაჭერა;
- გაუმჯობესებულია სისტემაში შესვლის უსაფრთხოების სისტემა;
- გააჩნია ინტერნეტიდან განხორციელებული შეტევებისგან დაცვის ჩაშენებული სისტემა;
- უზრუნველყოფილია მომხმარებლებს შორის სწრაფი გადართვის შესაძლებლობა;
- უზრუნველყოფილია DirectX 9-ს მხარდაჭერა კომპიუტერული თამაშებისთვის.

Windows 7 ოპერაციულმა სისტემის დამუშავებისას დამპროექტებლების წინაშე იდგა შემდეგი ამოცანები:

- სისტემასთან მუშაობის გამარტივება;
- არსებული ოპერაციული სისტემების დადებითი თვისებების შენარჩუნება;
- ადვილად კონფიგურირებადი სამაგიდო სისტემის შექმნა, რომელიც შეამცირებდა ოპერაციული სისტემის ფლობის და გამოყენების საერთო ღირებულებას (Total Cost of Ownership, TCO).

ზემოთმოყვანილი ამოცანები მეტ-ნაკლებად გადაწყვეტილი იქნა ჯერ კიდევ Windows XP-ში, ხოლო Windows 7, Windows 10-თან ერთად, ამ მხრივ დღეისთვის არსებულ საუკეთესო ოპერაციულ სისტემად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

კორპორატიული კლიენტების მიერ Windows 7 ოპერაციული სისტემის გამოყენების სიმარტივე შემდეგი ფაქტორებითაა განპირობებული:

- გამოიყენება Windows-ის ჩვეული ინტერფეისი, თუმცა უფრო მარტივი და „ინტელექტუალური“. მოცილებულია სამომხმარებლო ინტერფეისის ზედმეტი ელემენტები, ხოლო სტანდარტული ელემენტები ინტუიტიურად უფრო გასაგები გახდა. გამარტივებულია ინფორმაციის მოძებნის მექანიზმი. ამასთან ერთად ის უფრო ეფექტურიც გახდა. მხარდაჭერილია ბევრი ნაციონალური ენა. Windows 7-ის მომხმარებლებს შეუძლიათ სისტემის გაფორმების როგორც ახალი, ასევე წინა ვერსიებში გამოყენებული, კლასიკური სტილის გამოყენება;

- ახალი პროგრამა-მასტერები მნიშვნელოვნად ამარტივებენ სისტემის მოწყობის პროცესს (მოწყობილობების და ქსელურ შეერთებებს);
- სისტემა ორიენტირებულია მობილურ კომპიუტერებთან სამუშაოდ. გამარტივებულია მოწყობილობების შეერთების და გამოერთების პროცესი, უზრუნველყოფილია ბატარეების გამოყენების ეკონომიური რეჟიმი და დოკუმენტებთან ავტონომიური მუშაობის მხარდაჭერა;
- სისტემას გააჩნია ინტერნეტთან ეფექტური მუშაობის ჩაშენებული საშუალებები, რომლებიც აჩქარებენ მუშაობას და ინფორმაციის მოძიებას.

Windows 7 გამოირჩევა გაუმჯობესებული გრაფიკული ინტერფეისით. მასში ჩაშენებულია 120-მდე ფონური სურათი, რომლებიც უნიკალურია ყოველი ქვეყნისთვის და ენისთვის. ყველა ვერსიას გააჩნია 50 ახალი შრიფტი. არსებული შრიფტები გაუმჯობესებულია ყველა სიმბოლოს კორექტული ასახვისთვის. Windows 7 ოპერაციული სისტემა Windows-ის პირველი ვერსიაა, რომელიც ლათინური სიმბოლოების ამსახველ შრიფტებთან შედარებით მეტ არალათინური სიმბოლოების ამსახველ შრიფტებს შეიცავს.

Windows 7-ში, Windows Vista-სთან შედარებით, გაუმჯობესებულია ძველი სამომხმარებლო პროგრამების მხარდაჭერა, რაც განსაკუთრებით საგრძნობია Windows XP-ს გარემოსთვის შექმნილი თამაშებისთვის. Windows 7 მხარს უჭერს Windows XP Mode რეჟიმს, რომელიც სამომხმარებლო პროგრამების ვირტუალურ Windows XP კომპიუტერზე გაშ-

ვების შესაძლებლობას იძლევა. ამრიგად, Windows 7 მხარს უჭერს ფაქტიურად ყველა ძველ გამოყენებით პროგრამას.

Windows 7-ის ექვსი ძირითადი ვერსია (Edition) არსებობს:

- Starter (დაწყებითი);
- Home Basic (სახლის საბაზო);
- Home Premium (სახლის გაფართოებული);
- Professional (პროფესიონალური);
- Enterprise (კორპორატიული);
- Ultimate (მაქსიმალური).

Windows 7 Starter, Home Edition და Professional სისტემები მხოლოდ ერთი ფიზიკური პროცესორის მხარდაჭერას უზრუნველყოფენ.

Windows 7 Home Edition მხოლოდ სახლის მომხმარებელზეა ორიენტირებული. მას გააჩნია მულტიმედია სამუშაოების და კომპიუტერული თამაშების გაუმჯობესებული მხარდაჭერა, მაქსიმალურადაა გამარტივებული მომხმარებლების და ქსელური რესურსების მოწყობა (ინტერნეტის ჩათვლით), დისკური რესურსებისადმი მიღწევა.

სისტემა Windows 7 Professional ორიენტირებულია კორპორატიულ მომხმარებლებზე, საშუალო და დიდ ქსელებში სამუშაოდ. ამ სისტემას იყენებენ სახლის მომხმარებლებიც, რომელთაც არ აკმაყოფილებთ Windows 7 Home-ის ზოგიერთი შეზღუდვა.

Windows 7 Enterprise და Ultimate იდენტური ოპერაციული სისტემებია იმ განსხვავებით, რომ Windows 7 Enterprise განკუთვნილია Microsoft-ის კორპორატიული მომხმა-

რეგლებისათვის, ხოლო Ultimate - ჩვეულებრივ იყიდება და ყენდება ახალ კომპიუტერებზე. Windows 7 Enterprise და Ultimate მხარს უჭერენ ორი და მეტი ფიზიკური პროცესორის არსებობას კომპიუტერში.

მიუხედავად იმისა, Windows 7 ოპერაციული სისტემის ვერსია უჭერს თუ არა მხარს ორ და მეტ ფიზიკურ პროცესორს, ნებისმიერი მათგანში რეალიზებულია მრავალბირთვიანობის მხარდაჭერა. კერძოდ, ოთხბირთვიანი პროცესორები მხარდაჭერილია Windows 7 ოპერაციული სისტემის ყველა ვერსიის მიერ.

Windows 7 მხარს უჭერს პროცესორის ორ არქიტექტურას. 32-ბიტიანი ვერსიებს აღნიშნავენ x86-ით. სწორედ ეს ოპერაციული სისტემა უნდა დაყენდეს შედარებით ძველ - 32-ბიტიანი პროცესორებით აღჭურვილ სამაგიდო კომპიუტერებში და დაბალ-საშუალო სიმძლავრის პორტატიულ კომპიუტერებში. x86 ოპერაციული სისტემის ძირითადი შეზღუდვა მხარდაჭერილი ოპერატიული მეხსიერების მოცულობაა - არაუმეტეს 4 გბ-სა. x86 ოპერაციული სისტემა შეიძლება დაყენდეს 64-ბიტიანი პროცესორით აღჭურვილ კომპიუტერზეც, თუმცა ოპერაციული სისტემა მხოლოდ 4 გბ ოპერატიულ მეხსიერებას გამოიყენებს.

ოპერაციული სისტემა Windows 10

წინამორბედ ოპერაციულ სისტემებთან შედარებით Windows 10-ში შემდეგი სიახლეებია რეალიზებული:

- ✓ **Start ღილაკი და მენიუ.** Windows 8-ში გამქრალი და Windows 8.1-ში კოსმეტიკურად დამატებული Start ღილაკი Windows 10-ში სრულადაა აღდგენილი. განახლებულია Start მენიუ, რომლის მარჯვენა მხარე გაფართოებულია გამოყენებითი პროგრამების ახალი პანელით.
- ✓ **სამუშაო მაგიდის აპლიკაციები.** სმარტფონების და პლანშეტების მომხმარებლებისთვის კარგად ცნობილი აპლიკაციები Windows 8/8.1-ში გაიშვებოდა მხოლოდ სრულეკრანიან რეჟიმში. Windows 10-ში შესაძლებელია არჩევა - მათი ჩატვირთვა მოხდეს სრულეკრანიან რეჟიმში თუ ცალკე ფანჯარაში.
- ✓ **Continuum** - სპეციალური სამსახური, რომელიც აანალიზებს სისტემაში ცვლილებებს და ამის მიხედვით ცვლის Windows 10-ის ქმედებებს. მაგალითად Windows 10-ის პლანშეტზე გაშვებისას აპლიკაციები დიდი ზომის ფილების სახით წარმოდგინდება, რათა მათზე მოხერხებული იყოს თითის დაჭერა. პლანშეტთან მაუსის ან კლავიატურის შეერთების შემთხვევაში ეკრანზე აღდგება სამაგიდო კომპიუტერებისათვის დამახასიათებელი სამუშაო მაგიდა, შემცირდება Start მენიუს ზომა, ხოლო აპლიკაციები ცალკე ფანჯრებში გაიხსნება. Continuum ფუნქციის ავტომატური მუშაობის რეჟიმი უზრუნველყოფს სწრაფ გადართვას პლანშეტის და სამუშაო მაგიდის რეჟიმებს შორის მხოლოდ აპარატურის კონფიგურაციის ცვლილების შემთხვევაში.

- ✓ **Cortana** - ე.წ. ციფრული დამხმარე. იმართება კლავიატურით ან ხმით. გაიშვება Start მენიუში არსებული ძეგნის ველიდან.
- ✓ **OneDrive** - მონაცემთა „ღრუბლოვანი“ შენახვის Microsoft-ის სამსახური. მომხმარებელს შეუძლია ზუსტად მიუთითოს, თუ სად შეინახოს მონაცემები - მხოლოდ ვინჩესტერზე, მხოლოდ OneDrive-ში, თუ ორივეში ერთდროულად.
- ✓ **დამატებითი აპლიკაციები.** Microsoft-ის ელექტრონული მაღაზია Windows Store (ან უბრალოდ მაღაზია), რომელიც 200 000-მდე აპლიკაციას მოიცავს. მისი შედარება რთულია Apple-ის (iPhone, iPad) და Google-ის (Android) მაღაზიებთან, თუმცა ბევრ სასარგებლო აპლიკაციას შეიცავს.
- ✓ **რამდენიმე სამუშაო მაგიდა** - Windows 10-ში მხადაჭერილია რამდენიმე სამუშაო მაგიდის შექმნის შესაძლებლობა. მოსახერხებელია სხვადასხვა სამუშაო მაგიდების შექმნა განსხვავებული ტიპის საქმიანობისთვის. მაგალითად, ერთი სამუშაოდ, ხოლო მეორე - თამაშებისთვის.
- ✓ **Windows 10 - ეს არის სამსახური.** ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც Microsoft-მა განახორციელა Windows 10-ში, ეს არის მისი სამსახურად გარდაქმნა. კომპიუტერზე დაყენების შემდეგ Windows 10-ს ვერ ჩავთვლით დასრულებულ და უცვლელ პროგრამულ პროდუქტად. Microsoft ვარაუდობს მისი შესაძლებლო-

ბების მუდმივ გაფართოებას ახალი აპლიკაციებით, ინსტრუმენტებით და სერვისებით.

Windows 10-ის შვიდი ძირითადი ვერსია არსებობს:

- Windows 10 Home - საბაზო ვერსია პერსონალური კომპიუტერების, ნოუტბუქების და პლანშეტების მომხმარებლებისათვის; აღჭურვილია Start ღილაკით და მენიუთი, სრულყოფილი სამუშაო მაგიდით, რომლებიდანაც გაიშვება ოპერაციულ სისტემაში დაყენებული ტრადიციული პროგრამული უზრუნველყოფა.
- Windows 10 Professional - ვერსია პერსონალური კომპიუტერების, ნოუტბუქების და პლანშეტების მომხმარებლებისათვის მცირე ბიზნესის ფუნქციების დამატებით, როგორებიცაა: მონაცემების დაშიფვრა, ლოკალური ქსელების მართვის სპეციალური საშუალებები და ა.შ;
- Windows 10 Mobile - ვერსია სმარტფონებისთვის და მცირე ზომის პლანშეტებისთვის. პირველ რიგში უზრუნველყოფს ელექტრონერგიის ეკონომიურ მოხმარებას; აღჭურვილია სრულეკრანიანი Start მენიუთი, რომელიც ორიენტირებულია თითებით მართვაზე და ელექტრონული მაღაზიით გავრცელებული აპლიკაციების გამოყენებაზე. მას არ გააჩნია ტრადიციული სამუშაო მაგიდა. იგი არ უზრუნველყოფს ოპერაციული სისტემის სხვა ვერსიებისთვის დამახასიათებელი სტანდარტული პროგრამული უზრუნველყოფის გაშვებას. გამოწვეულია უფასოდ გავრცელებული Microsoft Office-ის პაკეტი;

- Windows 10 Enterprise - ვერსია საშუალო და დიდი ბიზნესისათვის კორპორატიული რესურსების, უსაფრთხოების და ა.შ. მართვის ფუნქციებით;
- Windows 10 Education - Enterprise-ის ვარიანტი სასწავლო დაწესებულებებისთვის, ლიცენზირების პრივილეგიური პირობებით;
- Windows 10 Mobile Enterprise - კორპორატიული ვერსიის ვარიანტი, რომელიც ადაპტირებულია მობილურ მოწყობილობებზე გაზრდილი უსაფრთხოებით;
- Windows 10 IoT (Internet of Things) - ვერსია სხვადასხვა ტიპის კომპიუტერული მოწყობილობებისთვის, როგორებიცაა საბანკო ტერმინალები, რობოტები სპეციალური ფუნქციებით, საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოები და ა.შ.

პერსონალური კომპიუტერისთვის რეალურად უნდა ავირჩიოთ Windows 10 Home, Professional, ან Enterprise. მათი დასახელებები ზუსტად ასახავს დანიშნულებას.

Windows-ის ძველი ვერსიებისთვის გამოცდილი მომხმარებლები სახლის პირობებშიც პროფესიონალური ვერსიების დაყენების რეკომენდაციას იძლეოდნენ. არსებობდა აზრი, რომ პროფესიონალური ვერსიები უფრო სტაბილურად მუშაობდა. თუმცა Windows 10-ის შემთხვევაში სახლის პირობებში პროფესიონალური ვერსიების გამოყენება არანაირ უპირატესობას არ იძლევა. მათში შეტანილ პროფესიონალურ ინსტრუმენტებს სახლის პირობებში უბრალოდ ვერ გამოვიყენებთ. ერთადერთი გამონაკლისია ინტერფეისის ენის შეცვლა.

რჩება კიდევ ერთი კითხვა - 32-თანრიგა, თუ 64-თანრიგა ვერსია. პასუხი ცალსახაა - 64-თანრიგა, რადგან მხოლოდ იგი უჭერს მხარს 3,5 გბ-ზე მეტი მოცულობის ოპერატიულ მეხსიერებას.

Windows 10-ის x64 ვერსიები შეიძლება მხოლოდ იმ კომპიუტერებზე დაყენდეს, რომლებსაც 64-თანრიგა პროცესორი გააჩნიათ. Windows 10 Professional და Enterprise მხარს უჭერენ 128 გბ-მდე ოპერატიულ მეხსიერებას, Windows 10 Home - 16 გბ-მდე ოპერატიულ მეხსიერებას.

Windows 10-ისთვის აპარატურის მიმართ შემდეგი მინიმალური მოთხოვნებია ფორმულირებული:

- პროცესორი - 32-თანრიგა (x86), ან 64-თანრიგა (x64), 1 გჰც სატაქტო სიხშირით;
- ოპერატიული მეხსიერება - 1 გბ 32-თანრიგა და 2 გბ 64-თანრიგა ვერსიებისთვის;
- თავისუფალი მოცულობა დისკზე - 16 გბ 32-თანრიგა და 20 გბ 64-თანრიგა ვერსიებისთვის;
- ვიდეოკონტროლერი - DirectX 9-ს მხარდაჭერით;
- მონიტორი - 800×600 გარჩევადობით.

ძირითად გადასაწყვეტ ამოცანას Windows ოპერაციული სისტემის დაყენებამდე წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ რამდენად შეესაბამება კომპიუტერის მოწყობილობები ოპერაციული სისტემის მოთხოვნებს. პრინციპიალური გადაწყვეტილების მიღება ხდება ორი დოკუმენტის საფუძველზე:

- მოთხოვნები მინიმალური აპარატურული კონფიგურაციის მიმართ;

- შეთავსებადი აპარატურული საშუალებების სია (Hardware Compatibility List, HCL).

Windows ოპერაციული სისტემის დაინსტალირებამდე უნდა დავრწმუნდეთ, რომ სისტემის ყველა აპარატურული კომპონენტი იმყოფება შეთავსებადი აპარატურული საშუალებების (Hardware Compatibility List, HCL) სიაში. HCL წარმოადგენს იმ აპარატურული საშუალებების ჩამონათვალს, რომლებმაც ოფიციალურად გაიარეს ტესტირება Windows შეთავსებადობაზე.

ოპერაციული სისტემის შერჩევისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ მისი მთავარი დანიშნულება გამოყენებით პროგრამებთან კომფორტული მუშაობის უზრუნველყოფაა. მინიმალური აპარატურული მოთხოვნები ფორმულირებულია მხოლოდ თავად ოპერაციული სისტემისათვის. გამოყენებითი პროგრამებისთვის აუცილებელია მეხსიერების დამატებითი მოცულობა, თავისუფალი ადგილი დისკზე, შესაბამისი აპარატურა, დრაივერები და ა.შ. ოპერაციული სისტემის ვერსიის შერჩევისას გამოყენებითი პროგრამების მოთხოვნებიც აუცილებლად უნდა გათვალისწინდეს.

Windows 10 ინარჩუნებს წინამორბედი ოპერაციული სისტემების ტრადიციულად ძლიერ მხარეებს: ინფორმაციის დაცულობას, მაღალ საიმედოობას და წარმადობას. Windows 10 ოპერაციული სისტემა უზრუნველყოფს მყარ და საიმედო სამუშაო გარემოს, რომელშიც მნიშვნელოვნადაა შემცირებული სისტემის გადატვირთვის აუცილებლობა (ახალი პროგრამების და მოწყობილობების დამატების შემდეგ),

გაზრდილია მოწყობილობების დრაივერების საიმედოობა, გამოიყენება სამსახური Windows Installer, რომელიც განსაზღვრავს მოთხოვნებს პროგრამული პროდუქტების ინსტალაციის პროცესისადმი. სისტემაში აგრეთვე რეალიზებულია გამოყენებითი პროგრამების მრავალამოცანიან რეჟიმში შესრულების შესაძლებლობა.